

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს იურიდიულ  
საკითხთა და ეთიკის კომისიის  
ანგარიში

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა:

- კომისიის 11 სხდომა;
  
- კომისიამ განიხილა **68** საკითხი;
- კომისიამ დაამტკიცა საკრებულოს რეგლამენტი;
- კომისიამ განიხილა **3** პეტიცია;
- კომისიამ აგრეთვე განიხილა:
  
- ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება.
  
- სსიპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთის საჯარო სკოლისათვის გაა ტრაპაიდის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემა.

- იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა და დაამტკიცა საკრებულოს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი. განხორციელდა ისეთი ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ დამოკიდებული იყო პრაქტიკულ საქმიანობასთან და ამ მხრივ უფრო მოქნილი გახდა აღნიშნული დოკუმენტი. ასევე აღსანიშნავია ისეთი უმნიშვნელოვანესი სიახლე, როგორცაა საკრებულოს სხდომების ტრანსლაცია შენობის პირველ სართულზე განთავსებული მონიტორით, რაც ამ სერვისს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მისაწვდომს გახდის.
- კომისიამ განიხილა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის პეტიციები, რომელთაგანაც ხაზგასმით აღსანიშნავია პეტიციის წარდგენისთვის ელექტრონული პლატფორმის შექმნა, რომელიც ინტეგრირებული იქნებოდა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. კომისიამ სრულად გაიზიარა საინიციატივო ჯგუფის წინადადება.
- კომისიის მხარდაჭერით სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქვემო აკეთის საჯარო სკოლას მიენიჭა აფხაზეთში დაღუპული გმირის გია ტრაპაიძის უკვდავი სახელი.
- კომისიის უშუალო მონაწილეობით ოპტიმიზაცია განიცადა ისეთმა მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა, როგორცაა გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება.
- კომისიის თავმჯდომარის შუამდგომლობის საფუძველზე მოქალაქეებზე გაიცა სოციალური დახმარება.

### ❖ კომისიის საზედამხედველო საქმიანობა

✓ კომისიამ მოისმინა მერიის იურიდიული სამსახურის ანგარიში, სადაც წარმომადგენლობის კუთხით განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული სასამართლო პროცესების შედეგებზე. გარდა ამისა, აღინიშნა მაშინდელი გამგებლის ყოფილი მოადგილის გათავისუფლებასთან დაკავშირებული რეზონანსული საქმე, სადაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი, ხოლო უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი. ასევე, კომისიის ინტერესის საგანი გახდა მერიის ლეგალიზების კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების მოქალაქეების მხრიდან გასაჩივრების სტატისტიკა. წარმოდგენილი

სარჩელებიდან 20% დაკმაყოფილდა მოქალაქეთა სასარგებლოდ. ასევე გაიზარდა განცხადებებზე და საჩივრებზე რეაგირების სტანდარტი შესაბამისი უწყებების მხრიდან.

საბოლოო ჯამში, კომისიამ იურიდიული სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასა.

ანგარიშზე მუშაობდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

**ვერიკო კვიციანი**

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი

**ცირა ბზეკალავა**